საქართველოს
ფოლკლორის
სახელმწიფო
ცენტრი

2015 წლის III კვარტლის ანგარიში

❖ 30 ივნისი - 2 ივლისი ამბროლაურის კულტურის ცენტრში გაიმართა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის შესარჩევი ტური - რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მხარე.

❖ 2 ივლისს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ფოლკლორის ბაღში გაიმართა კაფია-გალექსების საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი ფშაველი და ხევსური მოკაფიავეები.

❖ 6 ივლისს ბათუმის საზაფხულო სეზონის ორთვიანი სპეციალური პროექტი - „ჰით ბათუმი 2015" - ფოლკლორული კვირეულით გაიხსნა. პროექტი მოიცავდა სხვადასხვა ფესტივალსა და გასართობ ღონისძიებებს, მათ შორის, ფოლკლორულ კვირეულსაც, რომელშიც მონაწილეობდნენ ფოლკლორული ანსამბლები და ჯგუფები მთელი საქართველოდან. ფოლკლორული კვირეულის ორგანიზატორი იყო საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი.

❖ 7 ივლისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხემლისხიდში, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ქალაქ ოზურგეთის მერიის ერთობლივი ღონისძიებით, საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს სახალხო არტისტის, საქართველოს დამსახურებული ინჟინრის გიორგი სალუქვაძის სახლ-მუზეუმი.

❖ 16 ივლისს ახალციხის დრამატულ თეატრში გაიმართა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ტური. წარმოდგენილი იქნა ფოლკლორის ყველა დარგი და მონაწილეობა მიიღო რეგიონის ყველა ეთნოსმა და ეთნიკურმა ჯგუფმა.

❖ 21 ივლისს დუშეთის კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ტური. ფესტივალის პირველი ნაწილის დასკვნით ტურს დუშეთში დაესწრო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, მცხეთა-მთიანეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილე გოჩა ზეიკიძე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე.

❖ 1-12 აგვისტოს კომპლექსური ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ექსპედიცია გამეგზავრა რაჭა-ლეჩხუმში.

❖ 16 სექტემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის " თანამშრომლების ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა.
გამოფენაზე წარმოდგენილია შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული, „კომპანიის" სხვადასხვა რგოლებში მომუშავე, სხვადასხვა განათლებისა და პროფილის მქონე პერსონების 100-მდე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

❖ 16-22 სექტემბერს, თურქეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა ფოლკლორული ექსპედიცია: საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის გიორგი დონაძის, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტის ანზორ ერქომაიშვილის, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ქორეოგრაფიული მიმართულების ხელმძღვანელის უჩა დვალიშვილისა და ვიდეოოპერატორის ნიკოლოზ გოგაშვილის შემადგენლობით.

ექსპედიციამ მოიარა გოლჯუკის მხარის რამდენიმე ქართული სოფელი და თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისგან - ჩვენებურებისაგან - ჩაიწერა და დააფიქსირა (აუდიოჩაწერა, ფოტო-ვიდეო გადაღება) მრავალი ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ნიმუში - სიმღერები, ცეკვები, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.

ექსპედიცია მოეწყო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და დაფინანსებით.

- 17 სექტემბერს არქივისა და ბიბლიოთეკის მიმართულების კოორდინატორი უჩა პატარიძე იმყოფებოდა საქართველოს ფოლკლორის ცენტრის თეთრიწყაროს სალოტბარო სკოლაში, სადაც დასეწრო გაკვეთილებს და სკოლას საჩუქრად გადასცა ხალხური ინსტრუმენტები.

- 22 სექტემბერი - მუსიკალური ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი ნანა ვალიშვილი, რეგიონული პროექტების სამსახურის უფროსი თამარ ახობაძე და რეგიონული პროექტების სამსახურის კოორდინატორი გივი აბესაძე იმყოფებოდნენ დუშეთში. მივლინების მიზანი დუშეთის სალოტბარო სკოლაში სწავლის მსურველთა შერჩევა.

- 2015 წლის სექტემბრიდან განახლდება საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის პირველი ტური, რომელიც წლის ბოლომდე უნდა ჩატარდეს გურიის, იმერეთის, აჭარის, შიდა და ქვემო ქართლის რეგიონებში.
  ამ რეგიონებში ფესტივალის პირველი ტურის მაღალ დონეზე ჩასატარებლად, 24 სექტემბერს სამუშაო შეხვედრა მოეწყო ფოლკლორის ცენტრში. შეხვედრას ესწრებოდნენ: კულტურის სამსახურის უფროსები და წარმომადგენლები რეგიონებიდან, ფოლკლორის ცენტრის მიმართულების ხელმძღვანელები და სპეციალისტები.
  შეხვედრას უძღვებოდა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი დონაძე.

- მიმდინარეობს მუშაობა დავით ჯავრიშვილის ანთოლოგიაზე
- მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე - „რაჟდენ ხუნდაძე"
- მიმდინარეობს მუშაობა კრებულზე -„ქართული საეკლესიო გალობის ანთოლოგია“.
- გამოსაცემად მზად არის მონოგრაფია - „პოლიკარპე ხუბულავა“
- გამოსაცემად მზად არის მონოგრაფია - „ანდრო სიმაშვილი“
- გამოსაცემად მზად არის მონოგრაფია - „როსტომ გოგოლაძე“

- საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა შეიცვალა ვებ გვერდის მიმასამართი www.folk.gov. მიმდინარეობს მუშაობა ცენტრის ახალი ვებ.გვერდის შევსებაზე. მომხმარებელს უკვე საშუალება აქვს გაეცნოს აღნიშნულ საიტზე განთავსებულ მასალებს.

- მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობების გახსნასთან დაკავშირებით.

- რეგულარულად ვუწევთ რეკომენდაციებს შემოქმედებით თუ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ანსამბლების ხელმძღვანელებს, მომღერლებს, ქორეოგრაფებსა და მოცეკვავეებს, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებსა და მხატვრებს, მთქმელებს, სახალხო თეატრების რეჟისორებს და ასევე სხვადასხვა რაიონის კულტურის სამსახურის უფროსებს.

- ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის განახლებული ელექტრონული არქივის შესავსებად.